# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— პარასკევი, 24 ნოემბერი 1900 წ. № 1307

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

## 1901 წლისათვის
## მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი
### „მოამბე“
(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . . 10 მ. | 1 წლით . . 13 მ. |
| 6 თვით . . 6 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 3 „ . . 3 „ | 3 „ . . 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი
### „ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . . 6 მ. | 1 წლით . . 9 მ. |
| 6 თვით . . 4 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 1 „ . . 75 კ. | 1 „ . . 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.
თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მ., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და ქართული დასის არტისტები** გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ 22 ნოემბერს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ **ქართული თეატრის სუფლიორი**

## კოლა გალუსტოვი

მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე შაბათს, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ სადგომიდან ფომინოვის ქუჩაზე, № 13. (2–1)

**სათავად-აზნაურო თეატრი**

—

პარასკევს, 24 ნოემბერს, საზამთრო სეზონის გასახსნელად, მოსკოვის საოპერეტო არტისტების ამხანაგობის მიერ, ღედინცევის გამგებლობით, წარმოდგენილი იქნება:

### „გეიშა“,
ანუ ისტორია ერთის საჩაიე სახლისა, ოპერეტტა 3 მოქმედებად იაპონელთა ცხოვრებიდან, მუსიკა სიდნეი-ჯონსისა.

**შემდეგი წარმოდგენა** კვირას, 26 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება **„ციგნების ბარონი“**. ნ. (0—1)

**ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობა**

### „შუამავალი“

ამით აცნობებს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის პირველიდან ამხანაგობის მაღაზია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზე). მაღაზია ვაჭრობს საუკეთესო ღირსების ყოველივე სანოვაგით, ყველანაირის სასმელებითა და კოლონიალურის საქონლით. (5—2)

## ტფილისის კერძო
## სამკურნალო
**მკურნალის**
**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურის, ყელის და ცხვირის—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინაგანი—12—1 საათამდე.

პ. ლ. მარკევიჩი — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**სადამოთი:**

ი. ს. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევის და დარიგების 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**22 ნოემბერი**

**პეტერბურგი.** ხელმწიფე მემკვიდრის დაბადებისა და სახელწოდების დღეს ქალაქი მორთული იყო დროშებით, საღამოს კი გაჩირაღდნებული. ყველა ეკკლესიებში გარდახდილ იქმნა პარაკლისები.

**სოფია.** როგორც ხმა არის, შინაგან საქმეთა მანისტრი სამსახურიდან გადამდგარა.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან, რომ ჩინეთის ჟურნალ-გაზეთების სიტყვით, სამეფო სახლობა პეკინში დაბრუნებისათვის ემზადებათ. ჰფიქრობენ, რომ ლი-ხუნგ-ჩანგსა და ჩანჯიდუნს შეეძლებათ ჩააგონონ იმპერატორს ტუანისა და ტუნფუსიანის დასჯა. ახალის ბძანების ძალით სამსახურიდან გადაყენებულ იქმნენ ის მანდარინები, რომელთაც დაჰბრალდათ მოკრივეთათვის დახმარება. ჩინეთისა და უცხოელთა ოფიციალური წრეები საქმეთა ახლანდელ მდგომარეობას საკეთილოდ სთვლიან. „დეილი-ნიუსს“ ტიანძინიდან ატყობინებენ, რომ იქ ცნობები მოდის მოკრივეთა შეტაკების შესახებ ქალაქის მიდამოებში.

გაზეთებს „მორნინგ პოსტს“ და „სტანდარტს“ შანჰაიდან ატყობინებენ, რომ იქ მიღებულია იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც თუმცა აღნიშნულია ტუნფუსიანის ღვაწლი ამბოხების მოსპობის დროს, მაგრამ გამოთქმულია მწუხარება იმის გამო, რომ ტუნფუსიანს არა აქვს გაცნობილი საერთაშორისო ჩვეულებანი, რითაც ვნება მოუტანა უცხოელთა ინტერესებს; ამიტომ ტუნფუსიანს ჩამოერთვა ღირსებანი, მაგრამ ნება მიეცა დარჩეს ჯარების უფროსად კანსუში. გაიცა ბრძანება, რომ დათხოვნილ იქმნას 5,000 კაცი ტუნფუსიანის მხედრობისა, ხოლო ტუნფუსიანს ებრძანა წავიდეს კანსუში. „სტანდარტის“ კორესპონდენტი ამბობს—ეს ბრძანება ამტკიცებს, რომ იმპერატორს განზრახვა არ აქვს ტუნფუსიანი დასაჯოს, მხოლოდ ჰსურს მოიშოროს იგი სინანფუდგან, თუმცა ეს საშუალება მიჰსცემს ტუნფუსიანს ხალხი ააჯანყოს.

**სოფია.** სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. საერო კრება დროებით დაიხურა.

**ბერლინი.** ლი-ხუნგ-ჩანგი დეპეშით ატყობინებს აქაურ ჩინეთის ელჩს, რომ შენსის ახალი გუბერნატორი, წინაალმდეგი თავის წინა-მოადგილისა, სასტიკად ეპყრობა მოკრივეთ; ორის თვის განმავლობაში მან დასაჯა 80-ზე მეტი მოკრივეთა მეთაური და ყოველის ღონისძიებით იცავს მისიონერებს.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდან იტყობინებიან 22 ნოემბერს, რომ დღევანდელ კრებაზე ელჩებმა ვერ გა-

მოირკვიეს უკანასკნელი დადგენილება, რადგანაც არ მიუღიათ თავიანთ მთაერობათაგან დარიგება საერთო ნოტის ფორმის შესახებ. სხდომის შემდეგ კონჯერმა გამოაცხადა, რომ ყველა ელჩები მოწადინებულნი არიან დაასრულონ საქმე; ამიტომ იგი ფიქრობს, რომ შემდეგი სხდომა უკანასკნელი იქმნება. კონჯერი კმაყოფილია დღევანდელის სხდომით.

**ჰააგა.** მეორე პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ არ შეუძლია ეხლავე აღნიშნოს დრო, თუ როდის აღძრავს ჰოლანდია კითხვას სამედიატორო სამართლის შესახებ სამხრეთ-აფრიკის საქმეში.

**კაპშტადტი.** დღეს დილას გრეგამსტაუსთან შეამჩნიეს, რომ ტელეგრაფი გაუფუჭებიათ. ქალაქი მეტად აღელვა ამ ამბავმა.

**23 ნოემბერი**

**ლივადია,** 23 ნოემბერს, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორს მთელი ღამე კარგად ეძინა, თვით გრძნობიერობა და გუნება ძალიან კარგი აქვს, ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი, მკურნალი ტიხონოვი.

**ვორჩესტერი.** (კაპის ახალშენში). გაზეთის პატრონი დეიენგი დაატუსაღეს, რადგანაც მან 11 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატია, რომელშიაც ცილი დასწამა ბრიტანიის ჯარის კაცებს მით, რომ მეტის მეტი საზიზღარი საქციელები დააბრალა მათ.

**სოფია.** ცდილობენ შეადგინონ კოალიციონური კაბინეტი, ისე რომ ეხლანდელი საერო კრებაც დარჩეს. აქაურ პოლიტიკურ წრეებს არ აქვთ იმედი, რომ ამ მეცადინეობამ დიდი ნაყოფი მოიტანოს.

**კელნი,** კრიუგერი წავა ხვალ დილის 10 საათზე საგანგებო მატარებლით, რომელსაც სევენაარში მიემატება ჰოლანდიის საგანგებო მატარებელი.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდან, რომ, როგორც ისმის, პროვინცია შანსიში დგანან დიდი მუდმივი ჯარის რაზმები გენერალ მას უფროსობით; ამ ჯარებს უჭირავთ მთის გასავლები ჩჟილის საზღვარზედ.

**პაოტიმფუ.** თოფის წამლის მაღაზიის გაწმენდის დროს აფეთქება მოხდა, რის გამო მოკლულ იქმნა 1 პიონერი ð დაიჭრნენ პორუჩიკი ვალფრომი და 4 პიონერი.

**ლონდონი.** კიჩინერი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდან, რომ ნოკსი გუშინ დაეცა დევეტის რაზმს ბეტულიისა და სმიტფილდს შუა მიმავალ გზის ახლოს, და განდევნა მტერი ყველა პოზიციებიდან; მზის ჩასვლის წინათ მტერმა დაიწია ჩრდილოეთისაკენ. უტრეზტის მეციხოვნე ჯარის რაზმი 19-ს ნოემბერს შეეხეხა ქალაქის ახლო ბურების რაზმს, 200 კაცისაგან შემდგარს; ბრძოლის შემდეგ, რომელიც ორ საათ ნახევარი გაგრძელდა, მტერმა უკან დაიხია; მან ბრძოლის ველზე 6 მოკლული კაცი დასტოვა. ინგლისელებს მოუკლეს ორი და დაუჭრეს ხუთი კაცი. რადგანაც ბურები არა ერთხელ დაეცნენ ვერეენიგინს, 19 ნოემბერს იქ წავიდა გეიდელბერგიდან რაზმი, რომელსაც შემდეგ 150 ბური დაეცა; ისინი უკუ-ქცეულ იქმნენ; მათ წაართვეს ცხრა ფურგონი; ორი ინგლისელი მოჰკლეს. გენერალი ფრენჩი იტყობინება პოტჩეფსტრომიდან, რომ კოლონამ, რომელიც ლორბერგს ახლო მოქმედებდა, ზევრი ბური ტყვედ დაიჭირა და მოიტაცა რამდენიმე ათასი მსხვილ-ფეხი საქონელი და განდევნა მიდამოებიდან სულ მცირეთ 500 ბური.

---

## საგარეო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✕ საფრანგეთის პარლამენტმა ერთ-ხმად გარდასწყვიტა გამოუცხადოს კრიუგერს თავისი თანაგრძნობა. ამნაირადვე მოიქცა საფრანგეთის სენატიც. ეხლა ინგლისის გაზეთები გულ-მოდგინედ არჩევენ ამ დადგენილებას.

«ტაიმსი» უგულა ამას «საზოგადოთ გრძნობათა» სთვლის. «სულელობაა—ამბობს ეს გაზეთი,—დიდებულად გამოუცხადოთ ვისმე პლატონიური თანაგრძნობა და იმავე დროს საქმით კი არა უშველოთ რა მას.»

«ტაიმსი»-ის სტატია საზოგადოთ დაწერილია საფრანგეთისათვის საწყენი კილოთი, თუმცა კი იგი რესპუბლიკის ეხლანდელ მთავრობას ზოგიერთს რამდენიმე სიტყვით და მთელს ბრალს ნაციონალისტებს სდებს თავზედ.

ლონდონში დარწმუნებულნი არიან მაინც, რომ საფრანგეთი შეწყალად მხარს მისცემს ჰოლანდიას, რომელიც უსათუოდ აღძრავს ლაპარაკს შუამავლობაზედ ინგლისსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების შუა.

იმასაც ამბობენ, რომ საფრანგეთი მხოლოდ მაშინ მიემხრობა ამ შუამავლობას, თუ გერმანიაც ამასვე იზამს. ლონდონის დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ, რომ გერმანია უარს იტყვის ამ შუამავლობის მიმხრობაზედ.

მაგრამ, თუნდაც რომ გერმანია არ მიუდგეს შუამავლის წინადადებას, მაინც, ეს წინადადება წარმოდგენილი ისეთ სახელმწიფოებისაგან, როგორც საფრანგეთი და ჰოლანდია, ჩააგდებს ინგლისს, რასაკვირველია, ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში თუ წინადადება მართლა მოხდება, ინგლისის მხრივ გადაჭრით უარის თქმა მოუხერხებელი იქნება.

სამინისტროს გაზეთები არწმუნებენ, რომ ინგლისი არა შემთხვევაში არ მიიღებს არავის შუამავლობას. მაგრამ ეს დარწმუნება არაფერზედ არ არის დაფუძნებული და მას მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ დააფიქროს და შეაშინოს კონტინენტალური სახელმწიფოები.

✕ როგორც ამ ბოლოს დროს მოსული ცნობებიდან სჩანს, ინგლისის საქმეები სამხრეთ-აფრიკაში ძალიან ცუდად მიდის.

ხმა გავრცელდა, რომ დევეტი შეიჭრილა კაპის ახალ-შენის საზღვრებში და რომ იქ მოელიან იქაური ბურების აჯანყებას. ინგლისის მთავრობას, როგორც ამბობენ, ძალიან ეშინიან ამ აჯანყებისა.

✕ ამას წინათ ხმა გავრცელდა, ვითომ სახელმწიფოებს მოლაპარაკება აქვთ გამართული ტრანსვალის საქმეში გარევის შესახებ. ეს ხმა, როგორც ეხლა გამოჩნდა, სრულებით მოკლებული ყოფილა საფუძველს. ეს შუამავლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მას მოისურვებს თვითონ ინგლისიცა.

✕ არწმუნებიან, რომ საახალწლოთ ლორდ ბულერს დედოფალი უბოძებს ინგლისის პერის ხარისხს: ბულერს უკვე აურჩევია თავისთვის სახელ-წოდება: ლორდ ბულერი ლედისმიტისა.

ძალიან ცაში ეწევიან ბულერს და ქართული ანდაზა კი აგვიწყდებათ: «საავრინე ალალიო,—რაც არ არი, არ არიო.»

✕ მეტად აშურდა ლორდი რობერტსი, როცა გამოაცხადა, რომ ტრანსვალთან ომი გათავდაო. იგი არამც თუ არ გათავებულა, პირიქით რობერტსი იძულებული იყო მოეთხოვა კიდევ ახალი მაშველი ჯარი, 50,000 კაცი. ეს ახალი ჯარი საჭიროა იმ ჯარის კაცების მაგივრად, რომელნიც ეხლა თუმცა ბრძოლის ველზედ იმყოფებიან, მაგრამ ბეჯითად თხოულობენ ინგლისში დაბრუნებას. სამინისტრომ განიხილა ეს მოთხოვნა და ცდილობს მის ასრულებას, მაგრამ ლონდონელი გაზეთების ფიქრით, ახალი ჯარის შეკრება არც ისე ადვილი იქნებაო.

ოპოზიციამ რასაკვირველია ისარგებლა ამ შემთხვევით და იერიში მიიტანა ინგლისის სარდლებზედ და მათ ტაქტიკაზედ სამხრეთ-აფრიკაში.

✕ «დაილი მაილს» სწერენ სამხრეთ-აფრიკიდან, რომ კიჩინერს ახალი სამხედრო გეგმა მოუგონია ბურებთან საბრძოლველად. ამ გეგმით ინგლისის ცხენოსანი ჯარი გაიყოფა პატარა რაზმებად. მაგრამ თვით კიტჩენერი აღიარებს, რომ ეს გეგმა ძალიან გააჭიანურებს ომს, რომელიც, თუ ამნაირად იქმნა წარმოებული, შეიძლება კიდევ მთელი წლებიც გაგრძელდესო.

---

# ახალი ამბავი

✦ გუშინ-ღამ გარდაიცვალა ჰლექისაგან ქართული სცენის სუფლიორი ნიკ. გალუსტოვი. განსვენებული 18 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სცენას და დაიმსახურა პატივისცემა არტისტებისაგან, როგორც მუყაითმა მშრომელმა და სიმპატიურმა ადამიანმა.

✦ გუშინ, 23 ნოემბერს, ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელეებმა მოახდინეს რევიზია სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ე. თაყაიშვილის თაოსნობით, შემდგარა ტფილისში „ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა“ წრე. ხსენებულ წრეს მიზნად აქვს გამოსცეს საქართველოს საისტორიო და სალიტერატურო მასალები.

✦ უმაღლესი მთავრობის განკარგულების თანახმად, გაუქმდა თანამდებობა კავკასიის გზათა საოლქო სამმართველოს უფროსის მეორე თანაშემწისა.

✦ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში დღეს იწყებს წარმოდგენებს რუსული საოპერეტო დასი დედინცევის მეთაურობით. სეზონი იწყება ცნობილი ახალის ოპერეტით „გეიშა“. დასში მონაწილეობას იღებენ: ქ.ბ-ნნი რაისოვა, ლელინა, ლავროვსკაია ჩაიჩევა, დოლსკაია; ბ-ნნი დოლსკია, კოშევსკი, ტუმანსკი, ბოკოვი, ლანდროტი და სხვანი. ვუსურვოთ დასს, რომ დრამატიულ დასზე უფრო ბედნიერად წასულიყოს მისი საქმე და არ ჩავარდეს ისეთსავე გაჭირვებულ მდგომარეობაში.

✦ 21 ნოემბერს „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, სადგურებ ნატანებსა და სუფსას შუა, ხიდს ქვეშ, აღმოუჩენიათ სადღუმლო მაღაზია, რომლიდანაც ნავთს იპარავდნენ რკინის გზის ნავთის მილიდან.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გუშინ, 23 ნოემბერს, მიიღო მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოდან 1000 მანეთი,

რომელიც ხსენებულ საბჭოს გადაუდვია კავკასიის მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის მოსაწყობ ფონდისათვის.

✦ გუშინ, 23 ნოემბერს, ტფილისში დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი **სანდრაგაილო**.

✦ კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ზნე-ხასიათის გამასწორებელ ზემო-ავჭალის თავ-შესაფარის დირექტორს ა. ნ. ციტოვიჩს, როგორც გვატყობინებენ, თავი დაუნებებია თანამდებობისათვის; დირექტორად დაუნიშნავთ ბ-ნი გ. გ. **ზეგენდორჯა**.

✦ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა **დაამტკიცა** ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გადაწყვეტილი ჰქონდა ტფილისის მოქალაქეს დარჩო საგინოვს ყოველისავე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. საგინოვს ბრალად დაედო სიყალბის ჩადენა.

✦ განჯის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმთავრესს მართებლობის წინაშე, რომ დაარსებულ იქმნას თანამდებობა **მეორე საპოლიციო ბოქაულისა** ზანგეზურის მაზრისა სპილენძის მადნებში, რადგანაც იქ ამ ჟამად დიდ ძალ მუშას შეუყრია თავი.

✦ ფოთიდან „ნოვოე ობოზრენიე“-ს სწერენ: „ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსანდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, 18 ნოემბერს ბრძანება მისცა ეპარქიის სამღვდელოებას, რომ მოსპობილ იქმნას ბლაღოჩინებისთვის 200 მანეთის მიცემა, რომელიც ყოველ წელს იკრიბებოდა ეკლესიებიდან და კრებულებიდან; ამასთანავე ბლაღოჩინებს ებრძანა — დაუბრკოლებლივ მისცენ ყოველთვის სასულიერო პირთ მოთხოვნები (требованія) ჯამაგირების მიღების შესახებ.

✦ ქიზიყიდან გვწერენ: „ექვს თვეზე მეტი იქნება, რაც ჩვენის **დეპოს** კარები აღარ გახსნილა და ვაჭრობა შეჩერებულია. ამ დღეებში მოხდება საზოგადო კრება და თუ ამ კრებამ მაინც გამოარკვია დეპოს აწეწილ-დაწეწილი საქმეები, დიახ რომ მოიმოქმედებს „საქმეს საგმიროს“, ხოლო თუ მისი სულის ჩადგმა და გამობრუნება იკისრა ვინმემ, საკვირველ-მომქმედის სახელს დაიმსახურებს.

ამ ჟამად ქიზიყი მიჩუმებულია; ღვინით ვაჭრობა ულვინობის გამო არ არის, ხოლო თამბაქო, რომელიც წელს ქიზიყში ბლომად და კარგის ღირსებისაც მოვიდა, ელის მუშტარს, რომელიც მხოლოდ გარე-გარე სინჯავენ საქმეს, „ვარაუდს ეწევიან“ და ეძებენ ადვილად გასასვლელ ფონს; ხოლო ეს ფონი არ გახლავთ, რომ ვინმე გაჭირვებული მიადგეს კარებზე და ჩალის ფასად მიჰყაროს საქონელი. რახან ამგვარად მაზანდა გატყდება, მაშინ ისინიც მოედებიან სოფლებს. ამგვარი მაგალითი უკვე მოხდა აქ ორი, და თუ ამ მაზანდას გაჰყვება თამბაქოს ვაჭრობა, ვერაფერი დახლი დაუჯდებათ წელს ჩვენს მეთამბაქოებს“.

✦ გრაკალის სადგურზე 20 ნოემბერს შემდეგი **სამწუხარო ამბავი მომხდარა**: მატარებელში, რომელიც ტფილისში მოდიოდა, მჯდარა ახალქალაქის მაზრის გლეხი ივ. გოგლაური. უეცრად მას ჯიბეში ვიღამაც ხელი ჩაუყო; გლეხს მაშინვე უგრძვნია სხვისი ხელი, მოტრიალებულა და დაუნახავს ყმაწვილი კაცი აბაშიძე. ისინი წალაპარაკებულან და შემდეგ წაჩხუბებულან. აბაშიძეს ხანჯალი ამოუღია და მძიმედ დაუჭრია გოგლაური თავში და მუცელში. აბაშიძე მცხეთაში დაატუსაღეს; საბრალო გოგლაური კი ტფილისში ჩამოიყვანეს; მისი მორჩენის იმედი არა აქვთ.

✦ სოფ. ლამისყანაში (გორის მაზრა) ამას წინად შემდეგი უბედურება მომხდარა: ვიღაცა მ—ნი სიდედრს სწვევია თავისი ცოლით. იქვე ყოფილა მეორე სიძე ბ. ზ—შვილიცა. ღამე მ—ანს ცოლით და ბ. ზ—შვილს ერთ ოთახში სძინებიათ. ბ. მ—ნის ცოლი წამომდგარა ლოგინიდან. ქმარს ეჭვი შეუტანია ცოლის საქციელში, წარმოუდგენია ღალატი, წამოვარდნილა, აუღია ხელში დიდი კეტი და გაქანებულა იქვე მწოლარე ზ—შვილისაკენ. ამ უკანასკნელს გაუგია ბ. მ—ნის განზრახვა‘ წამოვარდნილა და გაუძვრია ხანჯალი, რომელიც თავითვე სდებია. მ—ნს მაინც მოუსწვრია, დაუკრავს კეტი მკლავში და ხანჯალი გაუგდებინებია, — აუტაცია და მიუწევია ზ—შვილზე მოსაკლავად. ქალი ჩავარდნილა შუაში და უთქვამს ქმრისთვის, — არ მოგაკვლევინებ ზ—შვილსო. მთლად გადარეულს მ—ნს ვეღარა გაუგია რა, დაუცია ხანჯალი ცოლისთვის და იქვე გაუთავებია.

✦ სოფ. მჭადისჯვრიდან გვატყობინებენ, რომ იქ, ეს რამდენი ხანია, თურმე **შავი ჭირი** მძვინვარებს და მაზრის ვეტერინარს კი, როგორც ეტყობა, მხარ თეძოზე სძინავს.

✦ გუშინ ტფილისის საქალაქო საყასბოებში საცდელათ დაუკლავთ ღორები. სხვათა შორის 109 ღორიდან ორს ტრიხინა აღმოუჩნდა და რვას — გვარი.

✦ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამიერ კავკასიის სადარაჯო რაზმის ინსპექტორად ნამყოფი ტფილისის გუბერნიაში თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი დაინიშნა თიანეთის მაზრის უფროსად.

აგრეთვე გამოცხადდა, რომ ქუთაისის გუბერნატორთან საგანგებო მინდობილებათა მოხელე ფონ-დერ-ნონნე დაინიშნა ამიერ კავკასიის სადარაჯო რაზმის ინსპექტორად ქუთაისის გუბერნიაში.

✦ ტფილისის მცხოვრებმა ნიკ. მახათაძემ გამოუცხადა პოლიციას, რომ ამას წინათ ვინმე თინათინა გარშავიძისამ სახლიდან გაიტყუა მისი დისწული 13 წლის ანნა კარდანაშვილი და შეაცდინა იგი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ თინათინა გარშავიძისას სახლობად გადაუქცევია ახალგაზრდა ქალების გარყვნა.

—

† წუხელის $10^{1}/_{2}$ საათზე ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული თეატრის ცნობილი არტისტი ქალი ბარ. ავალიშვილისა. დაწვრილებით მის ბიოგრაფიას ხვალინდელ ნომერში დავწერავთ.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

სამშაბათს, 21 ნოემბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მისის უდიდებულესობის სასახლის ეგერმეისტერის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. კრების დაწყებამდე თავმჯდომარის განკარგულებით გუბერნიის თავად აზნაურთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პარაკლისი მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სადღეგრძელოდ. კრებას განსახილველად წარუდგინა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი იმ წესისა, თუ როგორ იდღესასწაულონ მომავალ 1901 წელში საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის შესრულების დღე. სადღესასწაულოს წესის პროექტის შინაარსი დაახლოვებით შემდეგია:

1901 წლის 12 სექტემბერს შესრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს. კომისიის პროექტით, ეს დღე ასე უნდა იდღესასწაულოს თავად-აზნაურობამ: 1) ამორჩეულ იქმნეს 20 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელსაც უნდა დაევალოს გაემგზავროს ს.-პეტერბურგში და საქართველოს ხალხის სახელით შეამკოს გვირგვინებით საფლავები რუსეთის იმპერატორებისა: პავლე პეტრეს-ძისა, ალექსანდრე პავლეს-ძისა, ნიკოლოოზ პავლეს-ძისა, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა და ალექსანდრე ალექსანდრეს-ძისა; 2) დეპუტაციამ უნდა გადაიხადოს პეტერბურგის პეტრე პავლეს ტაძარში პანაშვიდი აღნიშნულ გარდაცვალებულ იმპერატორების სულისმოსახსენებლად და შემდეგ 3) შეამკოს მათი საფლავები გვირგვინებით; 4) გამართულ იქმნეს ხელის-მოწერა იმ საჭირო თანხის შესაგროვებლად, რომლითაც უნდა აგებულ იქმნეს ძეგლი ტფილისში ამ ღირსსახსოვარ დღის აღსანიშნავად; ხელის-მოწერით ფულის მოსაგროვებლად უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც აგრეთვე დაევალება ძეგლის აგების საქმე; და 4) დაარსებულ იქმნეს ოთხი სტიპენდია კაბარდინისა, ერევნისა, მე-20 დონის რაზმის და მე-20 საარტილერიო ბრიგადის იმ ჯარების აფიცერთა შვილებისათვის, რომელნიც პირველად შემოვიდნენ საქართველოში ხალხის მტრისაგან დასაცველად. 3 სტიპენდია ტფილისის კადეტთა კორპუსში და ერთიც ნოვო-ჩერკასკისაში; გამოიცეს საიუბილეო წიგნი. 1901 წლის 11 სექტემბერს დაინიშნოს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, ხოლო 12 სექტემბერს გადახდილ იქმნეს სიონის საკრებულო ტაძარში წირვა და შემდეგ პარაკლისი. ამავე დღეს გაიმართება სადილი და შემდეგ თავად-აზნაურთა ბალი, რომელზედაც მოწვეულ იქმნებიან მთავრობის საპატიო პირნი, რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საქართველოს სოფლების მამასახლისები ორ-ორი დეპუტატით. კომისიის აზრით თავად-აზნაურთა საიუბილეო დღესასწაულის გამმართველი კომისია უნდა შეუერთდეს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელთან ერთად უნდა შეუდგეს სადღესასწაულო წესის შესრულების თადარიგს. პროექტის წაკითხვის შემდეგ თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ უფრო აღმოუშლელი იქმნეს ხალხის ხსოვნაში ეს დიდებული ისტორიული ფაქტი, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღე, კარგი იქმნება ყოველ

წლობით 12 სექტემბერს ამ დღის სახსოვრად აღმართულ ძეგლთან გადახდილ იქმნეს ხოლმე პარაკლისი. კრებამ მოიწონა ეს აზრი და დაადგინა შეტანილ იქმნეს იგი სადღესასწაულო წესის პროექტში. საზოგადოდ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი კრებამ მოიწონა, მხოლოდ კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თავად-აზნაურობას სახსარი არ ექნება 4 სტიპენდიის შესანახავად, რადგანაც სათავად-აზნაურო სახლი ჯერ ჩვენ საკუთრებას არ შეადგენს და ყოველ შემთხვევაში არ შეგვიძლია მისი შემოსავალი მუდმივ წყაროდ ვიგულვოთ, რადგანაც, ვინ იცის, მომავალში შენობას რა არ შეემთხვევაო. ეს აზრი უკვე მხედველობაში ჰქონია კომისიას, რომელიც აცხადებს, რომ პირველ ხანებში 1800 მანეთი უნდა გადიდვას ყოველ წლივ სტიპედიანტების შესანახად; ხოლო როდესაც საშუალება ნებას მისცემს, ერთბაშად იქმნას შეტანილი 45000 მან., რომლის სარგებლითაც შეიძლება შეინახონ დანიშნული სტიპენდიანტები. ამაზედ სხვა-და-სხვა მოაზრება წარმოითქვა. დასასრულ, მაინც ისევე კომისიის მიერ გამოთქმულ აზრზე დაადგა კრება და დაამტკიცა თითქმის შეუცვლელად საიუბილეო დღესასწაულის გარდასახდელად შემუშავებულის წესრიგის პროექტი. პროექტის განსახორციელებლად კრებამ ამოირჩია 25 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ იქმნება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და წევრებად ტფილისის გუბერნიის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და შემდეგი საპატიო პირნი:

გენერალ-ადიუტანტი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ლეიტენანტი თ. მ. ქ. ამირეჯიბი, გენერალ მაიორი თავ. ჭავჭავაძე, გენერალ-მაიორი თავ. ჩოლოყაშვილი, გენერალ-მაიორი ქ. მამაცაშვილი, მ. ი. უ. სასახლის კამერგერი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, გენერალ-მაიორი თავ. ბებუთოვი, გენერალ-მაიორი გ. ხიმშიაშვილი, მიხ. ვახტ. მაჩაბელი, ი. თულაშვილი, ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. გ. ჯანდიერი, გენერალ.მაიორი ქილაშვილი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი და თავ. ი. გ. ბარათაშვილი.

# თეატრი

22 ნოემბერს ტფ. სახაზინო თეატრში ამ სეზონში პირველად წარმოადგინეს ოპერა „ბოგემა“, მუსსიკა პუჩჩინისა. ეს ოპერა საზოგადოდ, მუსიკის მხრივ განსაკუთრებულს არას წარმოადგენს, მეტადრე პირველი ნაწილი. მართალია, ოპერაში ბევრია მელოდიური, მუსიკალური ადგილები, მაგრამ მსმენელი ვერ გამოიტანს ვერც ერთ ადგილიდან გულზე მოსახვედრ ჰანგს. კომპოზიტორს საორკესტრო მუსიკისათვის უფრო ბევრი უზრუნვია, ვიდრე ვოკალურ მხრისათვის, მეტადრე პირველ მოქმედებაში, რომელიც სავსეა რეჩიტატივებით. რეჩიტატივები ღირსებას უკარგავს ყოველ სერიოზულ მუსიკალურ ოპერას, შთაბეჭდილებას აწყალებს. მიუხედავად იმისა, მსმენელი სიამოვნებით ისმენს ამ ოპერას. ამ საღამოზე ცოცხლად და კარგად ჩაიარა „ბოგემამ“. საუკეთესო მომღერალნი იღებდნენ მონაწილეობას და თითქო ცდილობდნენ არ წაეხდინათ საზოგადო ანსამბლი.

კარგები იყვნენ კამიონსკი მხატვარი მარსელას როლში, ბორისენკო რუდოლფის როლში, გორიაინოვი ფილოსოფოსი კოლლინეს როლში და გერასიმენკო შონარის როლში. ქ.ბ-ნი პაპაიანი უმჯობესი იქნებოდა მიმის პარტიაში, რომ პირველ მოქმედებაში უფრო მეტი სიცოცხლე ჰქონოდა. სამაგიეროდ უკანასკნელ ორ მოქმედებაში საუცხოვო იყო, საზოგადოთ ქ.ბ-ნ პაპაიანს არ ეხერხება ცქრიალა, ცოცხალი ტიპის გამოსახვა. ეს მისი ბუნებრივი ნაკლულევანებაა. ჩვენის აზრით, ქ.ბ-ნი კუნცოვისა კარგი უნდა იყოს ამ როლში. ქ.ბ-ნი რადინისა მიუზეტტას პარტიაში ძალიან კარგი იყო.

დასასრულ იყო ბალეტი, მუსიკა ჩაიკოვსკისა; მუსიკა არაბული თამაშობისა საუცხოვო იყო, ხოლო რაც შეეხება თვით ბალეტს—მაინცა და მაინც ისეთს არას წარმოადგენდა, რომ მთელი ორი კვირის წინად' გამოეცხადებინათ ამის მზადების შესახებ.

რედაქტორი: ალ. ჭყონია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

სავოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.)·

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სავოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში ზ. არაგვისპირელის

**პირველი წიგნი**

ფასი ათი შაური

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ზემო მოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

სანერგე ამერიკული ვაზებისა

**ბაღი „ქგურული“**

სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა.

გაიყიდება შემოდგომაზედ ამა 1900 წლისა ასი ათასი დამყნილი ამერიკული

**ვ ა ზ ი**

ადგილობრივი ჯიშის., სახელდობრ: საფერე, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე, მაღლარი, (ანდასეული) და ევროპიული ჯიშისა: კაბერნე, სემილიონი, პინო და უმეტეს ასი სხვა-და-სხვა ჯიშის სტოლის ღვინოებისა და ამერიკული ნაყოფის მომცემ ვაზებისა. აქვე შეიძლება დაკვეთა სხვა-და-სხვა ამერიკულ და ევროპიულ სანამყენოსი, აგრეთვე დამყნილი და მირეული ვაზებისა 1901 წლისათვის.

წერილების და დეპეშების ადრესი:—ქუთაისი, ვ. ტიებო. (12—10)

**მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო**

ამით აცხადებს, რომ 1900 წლის 30 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით დაბა ჭიათურაში სამრეწველო საურმე გზების გაკეთება 8800 მან. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს გირაო ფულად ან სარგებლიანი ქაღალდებით საიჯარო ღირებულობის ათი პროცენტი. ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა და პირობები შეიძლება განიხილოს ყოველ-დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის გარდაწყვეტილება საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (ნ. 3—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.